ეკოდელფინი

№3

ყველაზე გუშინდელი ლიტერატურა ხვალვანმისათვის



შოკოლიტ-სარჩევი:

ლიხ-ფულყრო
ირმა მაღალიძე 3

წივო-ვივოს 1000
წივო-ვავო
მარიამ ნიკლაური 10

ამღლო, ამოვიყვეთ
ავარიზალ!
თამრი ფხაკაძე 26

სალაკვაკო ყლიბარია
ვახო გუდეული 24

ჩხირკედელა
დელა ცუცქირიძე 22

28

20

იყო და არა
იყო რა...
გივი ჩიტვინაძე 21

ვინ მინდა ვიყო...
ნათია ჯანაშია 18

16

გაღვიძოს ხაცვის
გაკვეთილები
ზაურ სულაკაური 30



მოგზაურობა ოჯისაკენ
ერთად
რობი მესხი 8

ირმა მალაქიძე

ლიტ-ფუღურო

ნინუცას სიზმარი

კოკლოზინა ლექსები

ნინომ ნახა სიზმარში
შოკოლადის ქვეყანა.
ყველგან – მთაში, მინდორში
შოკოლადი ეყარა.

შოკოლადის მდინარეზე
შოკოლადის ხიდია.
მარმელადის თოჯინები
მოდიან და მიდიან.

ხიდზე რომ გადაივლი,
ქუჩა არის ვაფლის.
ქუჩის ბოლოს ჩუხჩუხებს
შადრევანი თაფლის.

აუჰ, ეს რა გემრიელი
სურნელება მოქრის?
აქვე ახლოს ყოფილა
მოედანი ტორტის!

მოედანი ტორტის,
ყველა აქეთ მორბის!

ზოგი კოვზით,
ზოგი დანით,

ზოგი თეფშით,
ზოგი ჯამით,

ყველას უნდა, მოილხინოს
გემრიელი ტორტის ჭამით.

ნინუცასაც უნდოდა,
პირის ჩატკბარუნება,
მაგრამ გამოეღვიძა და...
გაუფუჭდა გუნება.

მხატვარი იულია ნოკოგოროვა

ნინო ქადაგიძე

სახლები

სახლები რომ ლაპარაკობდნენ, იცოდით? არც მე! არა და, თურმე, საუბარი შეუძლიათ. ყველა რომ დაიძინებს და გემრიელ ფშვინვას ამოუშვებს, აი, მაშინ აჩურჩულდებიან:

– გამარჯობა, აგურის სახლოო!

– გაგიმარჯოს, ბეტონის ბებერო სახლოო!

– როგორ ხარ, როგოოორ...?

– აბა, როგორ ვიქნები ჩემი დაუდევარი პატრონების გადამკიდე, მარჯვენა მხარეს, აივნის ქვეშ ჩამომენგრა ჭერი და ჯერ არ შევულესივარ...

– ეეჰ, ჩემო კარგო, რა ხანია ეს მატრაკვეცა ხვიარა ბალახი მომედო გულისპირზე, ფანჯრებამდეც კი ამოაღწია და ჩემი პატრონი არ მაცლის, ლამაზიაო... აბა, ერთი მე მკითხოს!

და კიდევ, ვინ იცის, რამდენ რამეზე საუბრობენ, მთავარია, თურმე, ყური დაუგდო.

ჰოდა, რაღა ბევრი გავაგრძელო და ერთ დღესაც მესმის: – ძლივს არ დაიძინეს ამ ცელქმა ბავშვებმა, მთელი დღე ისე ჟრიამულობდნენ ჭერი ამხადეს, ისე მტკივა სხვენი, რაღა იყო და თავი, სახლის ტკივილის აბები არც არსებობს თორემ აფთიაქში გავაგზავნიდი ჩემი სხვენის მტრედს და არც ერთ აგურს კი არა და, თეთრს არ დავზოგავდი, დავლევდი და გადამივლიდაო!

ახლა იქედან მეორე სახლმა გამოსძახა, ცისფრად შეღებილი კედლებით რომ იწონებს თავს: – ეჰ, შენ რა გიჭირს, აბა, ერთი, ჩემ ჭერქვეშ შემოიხედე, ჩემი მოხუცი ცოლქმარი სულ მოწყენილია და პატარა ბავშვების ხმას ნატრობენ, გამოვყრუვდითო. რაღა დაგიმალო და ესენი კი არა, მე უფრო გამოვყრუვდი! მხოლოდ წნევის აპარატის ქშუტუნის ხმა ისმის, ჯოხის კაკუნის, გაზეთის ფურცლების შრიალის და საინფორმაციო გამოშვებების!.. მომბეზრდა!

რაღა ბევრი გავაგრძელო და, ჯერ უთანაგრძნო პირველმა სახლმა – უი, უი, ვაი, ვაი, შე საწყალოო. მერე კი გეგმა მოიფიქრეს, როგორ უნდა გაეხარებინათ მოხუცები.

ერთმა თქვა: საშო-

ბაოდ ჩემს საკვამურში თოვლის პაპა რომ ჩამოძვრება, მას შევეხვეწები, მოხუცებს ნატვრა აუსრულოს და მისთვის ერთი პატარა შვილიშვილის ჩუქება რა არის, ისეთი იოლია, აჩუქოსო!

მეორემ თქვა: – არაო, ახალ წლამდე რა მოიცდის, ჯერ წინ რამხელა ზაფხული და შემოდგომაა. მანამდე დავეხმაროთ, ვარდისფერი სახლის საწვიმარ მილში რომ წერო ცხოვრობს, ის შევაწუხოთ, იქნება და ჯადოსნური ქვეყნიდან მოუყვანოს პატარა და ფუმფულა შვილიშვილიო?

მესამემ თქვა: – ეგ წერო ისეთი მოხუცია, ვერც იმ ჯადოსნურ ქვეყანაში ვეღარ დაფრინავს, სიბერისგან გზაც აებნევა, თან აკანკალებული ნისკარტიდან არ გაუვარდეს ეს ფუმფულა თუ მსუქანი ბავშვიო!

– ვაიო, ვიშიო... – აქოთქოთდნენ მთელი ქუჩის ახალგაზრდა და ბებერი სახლები. როგორ მოვიქცეთ, რა ვქნათ, რითი ვანუგეშოთ მოხუცი ცოლ-ქმარი, რომ ასე ნატრობენ შვილიშვილებსო?

იმდენი ივიშვიშეს, მათ თავზე, ცაში აციმციმებული ვარსკვლავებისკენ ამდეც კი მივიდა სახლების ხმა. მერე ხან ერთი ვარსკვლავი ჩამოწყდა ციდან და პატარა ვარსკვლავგოგონად გადაიქცა, ხან მეორე ვარსკვლავი – ვარსკვლავბიჭუნად! აივსო იმ მოხუცი ცოლ-ქმრის სახლის ეზო ვარსკვლავბავშვებით. ზოგი ცეკვავდა, ზოგი მღეროდა, ზოგი – იცინოდა. ტირილი არც ერთმა ბავშვმა არ იცოდა. მათ ვარსკვლავივით წკრიალა ხმაზე გაიღვიძეს მეზობლებმაც, მერე მთელმა ქუჩამ, მერე სრულიად ქალაქმა და რა თქმა უნდა, მოწყენილმა მოხუცმა ცოლ-ქმარმაც.

– ადე, კაცო, ჩვენს თავს რაღაცა ამბავია, ადე, ეზოში გავიხედოთო! ეზოში გამოსულებს საოცარი სანახაობა დახვდათ, ამდენი მოციმციმე გოგო-ბიჭი ერთად არასდროს ენახათ. თან ყველა გარს ევლებოდნენ ბებია, ბაბუაო...

ისე გაიხარეს მოხუცებმა, წნევაც გადაავიწყდათ და საინფორმაციო გადაცემებიც!

ერთი შვილიშვილი არა გვყავდა და ასე, ერთბაშად რამდენი ბავშვის ბებია-ბაბუა გავხდითო?! მოდიოდნენ მოხუცი ცოლ-ქმარის სახლთან სხვა უშვილიშვილო ბებია-ბაბუებიც და ისინიც ხარობდნენ. სახლი კი სასწაულებრივად იზრდებოდა, იზრდებოდა, ვეებერთელა ხდებოდა და ყველა უშვილიშვილო მოხუცი და უდედმამო ბავშვი ამ სახლის ჭერქვეშ იდებდა ბინას. ამ სახლიდან კი საუკუნეების განმავლობაში მხოლოდ სიცილის, ცეკვისა და სიმღერის ხმა ისმოდა. ვილას ახსოვდა წნევის აპარატი?

ვითომ-ვითომ-ვითომ

რომ იცოდეთ, ჩვენი ნიკო
უკვე ზღაპრებს აღარ ითხოვს,
უცხო ამბებს ყვება თვითონ,
ჩვენც გვართობს და თავსაც ირთობს:
– ტყეში სოკოს ვაგროვებდი,
ვნადირობდი თანაც ხმლითო
და საღამოს დიდი დათვი
მოვიყვანე კალათითო.
იქა მყავდა მამლაყინწაც
გაჰყიოდა მთელი ხმითო,
მერე მანაც ივაჟკაცა,
დაიჭირა მელა ფრთითო.
ჩვენი მურას გმირულ ამბავს,
გაიოცებთ, აღარ მკითხოთ, –
ერთ ფერდობზე სამი მგელი
დაატყვევა ხაფანგითო...
– ნუ გვატყუებ, ბიჭო ნიკო,
აღარ მოგცემთ წაბლს და თხილსო!..
– რად არ მომცემთ წაბლს და თხილსო?
ეს ამბები მეტიც ღირსო.
ზღაპრად ვყვები, რასაც ვფიქრობ, –
ვითომ-ვითომ, ვითომ-ვითომ...

givi CiRvinaZe

ილუსტრაცია ნიკა დადიანი

ილუსტრაცია ლელა გუგეშაშვილის

ჯვალეჯი

ივლისია, სიცხე, ხვატი,
ზღვაზე მიდის ოცი კვატი.

ოცივენი გახლავთ დები,
მიაქვთ სავსე ჩემოდნები.

ჩემოდნებში უდევთ მოცვი,
არ სჭირდებათ პირსახოცი.

გაუშლიათ ოცი ქოლგა,
ზღვის სათვალეც ოცი ჰქონდათ.

naTia janaSia

შეუყვარეჯული კატა

შეუყვარდა კატას თაგვი,
თავის ბედად, თავის ჭირად,
ამის შემდეგ ველარცერთი
თაგვი ველარ დაიჭირა.

თაგუნიას მოახსენა:
– ყოველდღე მსურს შენი ნახვა,
სულ შენია, რაც კი ბებომ
კარადაში შეინახა.

ბებოს კატის იმედი აქვს,
ეფერება, აჭმევს ქადას
და რა იცის, თავის კატა
თხილს და კაკალს თაგვს რომ ატანს.

Sarlota kvantaliani

ილუსტრაცია ნიკა დადიანი

პურის მცხობელის ასული

იცით, რატომ გაჰკივს ბუ ღამღამობით ასე ბრაზიანად: – უუუჰ, უუუჰ?! თუ არ გსმენიათ, მაშინ გიამბობთ.

ძველად – არც ჩემ, არც თქვენ და არც არავის დროში – ინგლისში ბევრი ავსული ბინადრობდა. ეს ელფებიო, ეს ჭინკებიო, ეს გოლიათებიო, გომბეშოებიო და ვინ მოსთვლის კიდევ...

და რა თქმა უნდა, არსებობდნენ ყოვლისშემძლე ფერიებიც, რომლებიც ხშირად ადამიანის სახეს იღებდნენ და ყველას საიდუმლო ზეპირად იცოდნენ. ხანდახან ფერიები ადამიანებს სჯიდნენ ცუდი საქციელისთვის. ან პირიქით, აჯილდოვებდნენ სიკეთისათვის.

ერთხელ, ერთმა ასეთმა ყოვლისშემძლე ფერიამ მათხოვრის სახე მიიღო და ჰარფორდშირის საგრაფოს ერთ სოფელში მივიდა. გზად პურის საცხობი დაინახა, გაჩერდა და კარზე დააკაკუნა. თუმცა ეს სულაც არ სჭირდებოდა – კარი ღია დაეტოვებინათ, ამიტომ ბევრი არ უფიქრია, შიგ შევიდა. საცხობში ახლადგამომცხვარი პურის სურნელი იდგა, ოთახის სიღრმეში კი უზარმაზარი ღუმელი გიზგიზებდა. ღუმელთან ლამაზი გოგო ტრიალებდა. ეს ხაბაზის ქალიშვილი იყო. იქვე, დაბალ მაგიდაზე, გოგონას ახლადგამომცხვარი, დაბრაწული პურები დაემწკრივებინა.

ფერია ჩუმად ადევნებდა თვალს, როგორ მოხერხებულად იღებდა გოგონა გავარვარებული ღუმელიდან დაბრაწულ პურებს, თითებით აკაკუნებდა მათზე, რათა გაეგო, კარგად იყო თუ არა გამომცხვარი. შემდეგ კი ისევ ცომის გუნდებს აწყობდა ღუმელში.

– მიწყალობეთ ერთი ნაჭერი პური... საწყალ მათხოვარს! – აკანკალებული ხმით ითხოვა მოწყალება ფერიამ.

ხაბაზის ქალიშვილი კი ცხობას განაგრძობდა და საწყალ ქალს ზედაც არ უყურებდა. დიდი ხნის მუდარის შემდეგ გოგონამ ცომს პატარა გუნდა მოაგლიჯა და მათხოვარს მიუგდო.

– ჩემს ქოხში ღუმელი არაა, რომ გამოვაცხო... – საწყალობლად თქვა ფერიამ, – შეიძლება ცომი შენს პურებთან ერთად შევდო ღუმელში?

პურის მცხობელის ასული ძალიან ამპარტავანი იყო, მაგრამ მაინც მისცა უფლება, ცომის გუნდა თავის პურთან ერთად გამოეცხო.

როცა პურები დაიბრაწა და გოგონამ ისინი ღუმელიდან გამოიღო, დაინახა, რომ პატარა ცომის გუნდისგან ყველაზე დიდი და ლამაზი პური გა-

მომცხვარიყო. ფერიამ პურის ასაღებად ხელი გაიწოდა, გოგონამ კი უხეშად მოიშორა:

– გადი, ბინძურო მათხოვარო! – დაუყვირა მან ქალს, – ეს შენი პური არაა!

რამდენი ეხვეწა და ემუდარა მოხუცი, გოგონა კი მაინც არ იმეტებდა მისთვის პურს. ადგა და ისევ ცომის, კიდევ უფრო პატარა გუნდა, ესროლა. როცა მოხუცმა ცომი ღუმელში შედო, ისიც პირველზე უფრო დიდ, დაბრაწულ პურად იქცა. გოგონამ არც ამჯერად მისცა პური მოხუცს.

ბოლოს ფერიამ კიდევ ერთხელ, მესამედ სთხოვა, კიდევ მიეცა ცოტაოდენი ცომი, რომ კიდევ ეცადა ბედი. გოგონამ ერთი ციცქნა გუნდა მიუგდო. არც კი შეუხედავს მისთვის.

და სულ ტყუილად! გახსოვთ ალბათ, როგორი ამპარტავანი გახლდათ პურის მცხობელის ქალიშვილი. რომ შეეხედა, შენიშნავდა, როგორ შეიცვალა საწყალი მათხოვარი, წელში მოხრილი მოხუცი როგორ გადაიქცა მაღალ, ლამაზ ქალად, რომელსაც დაფლეთილი ძონძების ნახცვლად მბრწყინავი მანტია, ხოლო ხელჯოხის ნაცვლად – ჯადოსნური ჯოხი ეჭირა ხელში. მაგრამ გოგონამ ისევ უხეშად მოიშორა ის და უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა:

– უუჰ! უუჰ!

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ გოგონა ნაცრისფერ ბუდ გადაიქაცა და „უუჰ-უუჰ!“-ის ძახილით ფანჯარაში გაფრინდა.

მას შემდეგ ასეა. ღამღამობით ბრაზიანად გაჰკივის ხოლმე: – უუუჰ! უუუჰ!

ინგლისურიდან ტარგმნა მარიამ გახელაძემ



მარიამ წიკლაური

ვის აქვს ყველაზე დიდი მუცელი?



- ვინ ჭამს, აბა, თუ იცით, სულყველაზე ბევრს?
ვინ, ვინ სანსლავს ყველაფერს, რაც გარშემო დევს?
- ვებერთელა მუცელი ვის აქვს, ნეტავ ქვეყნად,
ყველაფერს რომ შესანსლავს, შეხვრიპავს და შეხრავს?
- სპილოსა თუ თაგვს, კოლოსა თუ ვეშაპს?
ვის მუცელში ეტევა ყველაფერი ერთად?

სასაციო სულაც არ ყოფილა ეს,
მას ჰქონია თურმე, ვინც გააჩენს ცეცხლს!
- ერთ პანია ღერს! ჰო, ასანთის ღერს!

არ დაფოვებს ჩაუყლაპავს
ცეცხლი ტყეს და სოფელ-ქალაქს.
სუყველაფერს ღუკმად აქცევს,
- მაღალ ხეებს? - დაბლა დასცემს.
ყველაფერს ჭამს: ხალხს და ავეჯს,
წიგნებს, ტყეებს, სახლებს, კარვებს,
მუცლის ამოყორვა იცის
უმაძღარა ცეცხლმა ფიცრით.
ზედ აყოლებს ტონა წყალს,
წვიმებს, ღრუბლებს, ტბებს და ზღვას.

- ეს რა მესმის, ციცქნა ღერო,
მოდი, სული შეგიბერო!
სწრაფად უნდა ჩაგაქრო,
რომ ვერავინ ჩაყლაპო!

მარიამ წიკლაური

ცეცხლი

ილუსტრაცია ია გიგოლაშვილის

ყველაზე საშიში სიტყვა

ლოკე, აგნი, ვესტა, ჰესთია, პრომეთე სხვადასხვა ქვეყნებში ცეცხლის ღმერთებსა და ქალღმერთებს ერქვათ. ისინი ეხმარებოდნენ ადამიანებს ცეცხლის მოპოვებასა და შენახვაში. ცეცხლის გარეშე კაცობრიობა ვერც იარსებებდა და ვერც განვითარდებოდა. ამიტომ ადამიანი ინახავდა და უფრთხილდებოდა ცეცხლს. მაგრამ ზოგჯერ ცეცხლი ყველაზე საშიში ხდება – ხანძრის გაჩენის მიზეზები ბევრია: ადამიანთა დაუდევრობა, ბოროტი განზრახვა, ომები, გვალვა, მეხი, ელექტროაპარატურა, კოცონი, ნამწვი და ჩაუმქრალი ასანთის ღერი და ნაპერწკალი, რომელიც დიდი ხანძრების მიზეზი გამხდარა. ამიტომ ყურადღებით უნდა ვიყოთ. „ცეცხლთან თამაში“ მართლაც ძალიან საშიშია. ცეცხლს შეუძლია გადაწვას ქალაქები და სოფლები, ტყეები და მინდვრები.

პირველი სახანძრო-სამაშველო სამსახური ათასობით წლის წინ, ეგვიპტეში შექმნილა. თბილისში სახანძრო სამსახური მე-19 საუკუნიდან მოქმედებს. უფრო ადრე კი, თბილისში ხანძრის დროულ ჩაქრობას და ქუჩების კონტროლს „ხანძარჩებს“ ავალებდნენ. ასე უწოდებდნენ მათ, ვინც ცდილობდა დაეცვა ქალაქი ხანძრებისაგან.

1820 წელს თბილისში პირველი სახანძრო რაზმი ჩამოყალიბდა, სადაც სულ 8 კაცი იყო. მათგან ორი ბრანდმაისტერის ანუ მეხანძრეთა რაზმის უფროსის მოწაფე, 6 კაცი კი ისევ მეთულუხჩე იყო, რომლებსაც ხანძრის ადგილზე მტკვრიდან წყალი უნდა ეზიდათ. ხანძრის დროს წყლის ფასი ლამის სამმაგდებოდა და მეთულიხჩეები ხეირს ნახულობდნენ. ეს სულაც არ იყო თანადგომის და სოლიდარობის მაგალითი დაზარალებულთა მიმართ. მეორე მსოფლიო ომის დროს კი თბილისში მეხანძრე ქალთა რაზმიც შეიქმნა. ამ რაზმში 50-მდე ქალი გაერთიანებულა და არაერთი ხანძარი აუცილებიათ თავიდან ქალაქისთვის.

ბოლო წლების დიდი ხანძრებიდან, ალბათ, გვახსოვს, როგორ გაანადგურა ცეცხლმა ბორჯომის ხეობის ტყეები, საბერძნეთის, ამერიკის დიდი ტერიტორიები, პარიზის ხვთისმშობლის ტაძარი. ადამიანებს, რომლებიც ცეცხლს ებრძვიან მეხანძრეები ჰქვიათ.

ძველი თბილისის ცენტრში, შემაღლებულ ადგილზე მეხანძრეები მორიგეობდნენ. სამორიგეო კოშკურიდან კარგად ჩანდა სხვადასხვა უბანი. ხანძრის გაჩენას მათ ატყობინებდნენ სხვადასხვა უბნიდან სხვადასხვა ფერის ბურთების ქნევით: ავლაბარში წითელ ბურთებს აფრიალებდნენ, სოლოლაკში - ლურჯს. ღამით კი ნათურებს იყენებდნენ. თუ სოლოლაკში ღამით ხანძარი გაჩნდებოდა, სამ ნათურას ანთებდნენ. ასეთი სიმბოლოების ენით აუწყებდნენ ქალაქის მაცხოვრებლები ხანძრის გაჩენას მეხანძრეებს.

დღეს საშიშ შემთხვევებში „112“ გვეხმარება. ეს ის სამსახურია, რომელიც დროულ დახმარებას უწევს ადამიანებს ყველანაირი ხიფათისას. და უნდა ვიცოდეთ, რომ „112“ აკრეფა და დახმარების გამოძახება მაშინაც კი შეგვიძლია, თუ მობილური ორმხრივადაა გამორთული!

თამარი ფხაკაძე

როგორ იმგზავრეს მატარებლით ცხოველებმა

ერთხელ, რკინიგზის სადგურ ბოკოკოში მატარებელი ჩამოდგა.

მატარებლის თავში, როგორც წესი და რიგია, ელმავალი იდგა. ელმავალს სამი ვაგონი ჰქონდა გამობმული. ერთი წითელი იყო, მეორე – ყვითელი, მესამე კი – მწვანე.

შეიძლება ცოტათი გაგიკვირდეს, მაგრამ ეს ცხოველების მატარებელი იყო, ჩემო კარგო.

– ყურრრადღება, ყურრრადღება, ცხოველების მატარრრებელი ჩამოდგა პირررველ ლიანდაგზე! – გამოაცხადა მიკროფონით მწვანე თუთიყუშმა. – მგზავრრრებო, დررროულად აბრრრძანდით მატარრრებელში!

ცხოველები ბაქანზე მოგროვდნენ და მატარებელში ასასვლელად გაემზადნენ.

– პირველი მე, პირველი მე! – ისკუპა მაიმუნმა მაკაკამ. თავზე წითელი კეპი ეხურა და წითელი ჩანთა ეკიდა ზურგზე.

– მოითმინეთ, გეთაყვა, ასე ნუ ჩქარობთ, – თქვა სიდინჯით ცნობილმა ბეჰემოთმა, – ჯერ ხომ ირმის რიგია?

მაგრამ ზრდილობით სახელგანთქმულმა ირემმა თქვა:

– არა, არა, ჯერ ქალბატონი ზებრა აბრძანდეს, – და რქები ზრდილობიანად დახარა.

– არა, არა, გადლობთ, ირემო, – იუარა ქალბატონმა ზებრამ, – ჯერ ბიძია დათვი აბრძანდეს, ფუტკრის ნაკბენები აწუხებს.

მაგრამ ბიძია დათვმა თქვა:

– გმადლობთ, ძვირფასო, მაგრამ მოდი, ჯერ დედა თხა ავატაროთ, შვიდი ბეკეკა მოჰყავს ამხელა გზაზე.

მაგრამ დედა თხამ თქვა:

– არა, არა, დიდი მადლობა. ჩემს ბეკეკებს არაფერი უჭირთ, სჯობს, სპილო ავატაროთ, ის ყველაზე დიდია და ფეხზე დგომა ყველაზე მეტად უჭირს.

მაგრამ სპილომ ხორთუმი ასწია და თქვა:

– არა, არა, ვიდგები, არაფერი მიშავს. სჯობს ჯერ ბებია კუ ავატაროთ. ის ყველაზე ხანდაზმულია ჩვენ შორის, ასი წლისაა.

მაგრამ ასი წლის ბებია კუმ თქვა:

– არაფერი მიშავს, შვილებო, გენაცვალეთ, მე დიდხანს მოვუნდები აცოცებას. აგერ, კენგურუ ახტეს, მარდია.

– აჰ, არა, არა, – იუარა კენგურუმ, – მგელი გავატაროთ. ფეხი აქვს ნაღრძობი.

მაგრამ მგელმაც მოინდომა ზრდილობიანად მოქცევა და თქვა:

– არა, არა, ნათლიდედა მელა ავიდეს, შიმშილით ფეხზე ვეღარ დგას.

მაგრამ მელაკუდა სამად მოიკუნტა და დათაფლულად თქვა:

– არა, არა, აგერ, მეფეთ-მეფე ლომი მობრძანებულა, ვენაცვალე ჩვენს მეფეთ-მეფეს, მე ავიდე და ეგ დაბლა იყოს??

მაგრამ მეფეთ-მეფე ლომმა ბრძანა:

– სწორედაც, რომ ეგრე უნდა იყოს, მელიავ. მეფე იმიტომ ვარ, რომ ჯერ თქვენ დაგაბინავოთ და მერე მე დავბინავდე. აგერ, ჭიანჭველა ავიდეს პირველი, ნახეთ, ზურგზე სამი თავისხელა ტვირთი ჰკიდია!

– დიდი მადლობა, დიდი მადლობა, – თქვა ჭიანჭველამ და მატარებელში აცოცდა. მეფელომს ხომ არ შეეპასუხებოდა?

ჭიანჭველას მელაკუდა მიჰყვა, მელაკუდას – მგელი, მგელს – კენგურუ, კენგურუს – ბებია კუ, ბებია კუს – სპილო, სპილოს – დედა თხა, დედა თხას – დათვი, დათვს – ქალბატონი ზებრა, ქალბატონ ზებრას – ზრდილობით სახელგანთქმული ირემი, ირემს – სიდინჯით ცნობილი ბეჰემოთი, ბეჰემოთს – მაიმუნი, სულ ბოლოს კი მეფეთ-მეფე ლომი აბრძანდა.

– ყურრადღება, ყურრადღება, ცხოველების მატარრრებელი გადის პირრრველი ლიანდაგიდან, – გამოაცხადა მიკროფონში მწვანე თუთიყუშმა.

– ტუ-ტუუუუუუ! – დაიყვირა მატარებლის საყვირმა.

მემანქანე ჯიხვმა საჭე დაატრიალა და – ჩუქ-ჩუქ, ჩუქუ-ჩუქ, დაგ-დუგ, დაგა-დუგ! – მატარებელი მხიარულად გაუდგა გზას.

სად მიემგზავრებოდნენ ცხოველები, ზუსტად არ ვიცი. მგონი, სახელოვან ქალაქ აბდუდ-აბდუში.

ილუსტრატორი

ია გიგოლაშვილი

ანდერსენის

იპოვე ნახატებზე
ჰანს ქრისტიან ანდერსენის
ზღაპრების გმირები:

- კლის ჯარისკაცი
- ნაძვაცა
- ოლე-ლუკოიე
- ქალთევზა
- თოვლის დედოფალი
- ტალკვესი
- კლის ჯარისკაცი
- მეფის ახალი სამოსი
- პრინცესა მუხუდოს მარცვალზე









ზღაპრები



172

თუ ზაფხულის ცხელ დღეებში, აგარაკზე ან სოფლად, შეგობრებთან ან მშობლებთან ერთად ტყეში პიკნიკზე წასვლას გადაწყვეტ, მანამდე გირჩევ, ეს წერილი გადაიკითხო. მას ლეა ცუცქირიძის წიგნის, „მხიარული ოჯახის“ ერთ-ერთი გმირი, მთიან ყურორტზე წასული მშობლებს წერს. მე მგონი, მისი რჩევები შენც გამოგადგება.

„სანამ ტყეში წახვალთ, ხომ იცით, რაც უნდა ჩაიცვათ? სქელლანჩიანი ფეხსაცმელი (მიწაზე ფეხი რომ არ აგიცდეთ ან დაგისველდეთ) და წყალგაუმტარი, მკვეთრი ფერის ქურთუკი. წყალგაუმტარი იმიტომ, რომ არასდროს ვიცით, როდის გაწვიმდება ტყეში. მკვეთრი ფერის, იმიტომ რომ დაკარგვის შემთხვევაში ადვილად მოგაგნონ.

აუცილებლად ჩაიცვით გრძელსახელოებიანი ზედატანები, ასევე, გრძელი შარვალი და არა შორტები. ასე თუ არ მოიქეცით, კოღოებს და სხვა მწერებს ვერ გადაურჩებით. ზურგჩანთაში ჩადეთ ასანთი ან სანთებელა – ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ კოცონის დასანთებად!!! წყალი დასალევად, ისეთი საკვები, რომელიც მალე არ გაფუჭდება (არავითარი ძეხვეული და კრემიანი ნამცხვარი!), კომპასი და რუკა (ვიცი, კარგი ორიენტაცია გაქვთ, მაგრამ ტყეში ხომ არ იცის).



ჩამოიკიდეთ ყელზე სას-ტვე-ნი! რომ დაიკარგოთ, უსტვინეთ და უსტვინეთ, რომ ვინმემგაიგონოს. მობილური არ დაგრჩეთ! ოღონდ დატენეთ და ისე წაიღეთ. თუ დაიკარგეთ, არ შეგეშინდეთ და პანიკაში არ ჩავარდეთ! გაშლილ ადგილზე კოცონი დაანთეთ და ხმელი ბალახიც დააყარეთ. ბალახი ბოლავს და ამ ბოლს შორიდან კარგად შეამჩნევენ.

არ დაგავიწყდეთ, ბოლოს კოცონი აუცილებლად კარგად უნდა ჩააქროთ!! ჰო, კიდევ, შეგიძლიათ ტანსაცმელიც გადაფინოთ მინდორზე (განსაკუთრებით, მკვეთრი ფერის ქურთუკები), იქნებ ვერტმფრენიდანაც დაგინახოთ ვინმემ და გიშველოთ. თუ შემოგაღამდათ, კოცონი არ ჩააქროთ, თქვენ კი ხეზე აძვერით დასაძინებლად. და ისიც გახსოვდეთ, რომ მდინარე, გზა და ბილიკი იმ ადგილამდე მიგიყვანთ, სადაც ადამიანები ცხოვრობენ“.

ილუსტრაცია
ზვიკო ლუსკანუხია



თიმ-თამ-თო!

საიდუმლო ენის გაკვეთილები

აბა, გამოტყდით, რამდენს გიოცნებიათ, ისეთი ენა გცოდნოდათ, უფროსებს ვერ გაეგოთ თქვენი საუბარი! ზუსტად ვიცი, რომ ბევრს! გინდათ, ერთი, საიდუმლოზე საიდუმლო ენა გასწავლოთ? სულაც არაა რთული. თანაც ის მხოლოდ ბავშვებს ესმით. ასე რომ, მშვიდად შეგიძლიათ იჭუკჭუკოთ მეგობრებთან, თანაც ისე, რომ დიდებმა ვერაფერი გაიგონ.

ამისათვის ასე უნდა მოიქცეთ: სიტყვაში ყველა მარცვალს (ხომ იცი, რა არის მარცვალი. თუ არა, მაშინ გაიქეცი და გრამატიკის წიგნში ჩაიჭყიტე)... ჰოდა, იმას ვამბობდი – ყველა მარცვალს დაუმატე „კ“ თანხმოვანი და იმ მარცვლის ხმოვანი, რომელიც სიტყვაშია. მაგალითად, მარცვალს „და“ დაემატება „კა“. მარცვალს „სე“ დაემატება „კე“. და ასე შემდეგ. არც ისე რთულია. აბა სცადეთ. ახლა კი საიდუმლო ენაზე ერთ პატარა ამბავს გიამბობთ კუს შესახებ, რომელსაც კუკური ერქვა.

აბა, ვნახოთ, სწორად წაიკითხავთ თუ არა.

კუ-კუ კუ-კუ-კუ-კუ-რი-კი

(წაიკითხე ნელა): იკიყოკო ეკერთიკი კეკეთიკილიკი კუკუ, საკახეკელაკად კუკუ კუკურიკი. ეკერთხ-კელ კუკუ კუკურიკიმ გაკადაკაწყვიკიტაკა, კუკულიკინაკარიკიის კუკურსეკებზეკე წაკასუკულიკიყოკო.

(წაიკითხე ცოტა სწრაფად): – რაკა კაკარგიკი აკაზრიკიაო – გაკაიკიფიკიქრაკა კუკუმ დაკა კოკომპიკიუკუტეკერს მიკიაკაშუკურაკა. გუკუგლშიკი ჩაკაწეკერაკა საკაძიკიეკებოკო სიკიტყვაკა „კუკულიკინაკარიკიის კუკურსეკებიკი“ დაკა „ძეკებნაკას“ დაკააკაჭიკირაკა. იკიმდეკენიკი კუკურსიკი აკაღმოკოაკაჩიკინაკა, აკალაკარ იკიცოკოდაკა, როკომეკელიკი აკაეკერჩიკიაკა. ბოკოლოკოს ეკერთიკი შეკეაკარჩიკიაკა, დაკარეკეკაკა დაკა ჩაკაეკერაკა.

(წაიკითხე კიდევ უფრო სწრაფად): მეკეოკორეკე დღეკეს კუკუმ თეკეთრიკი წიკინსაკფაკარიკი დაკა თეკეთრიკი ჩაკაჩიკი დაკაიკიხუკურაკა დაკა კუკურსეკებზეკე გაკამოკცხაკადდაკა.

მაკასწაკავლეკებეკელიკი მზაკარეკეუკულიკი კუკურდღეკელიკი დაკახვდაკა.

(წაიკითხე კიდევ, კიდევ უფრო სწრაფად): – დღეკეს ჩვეკენ ვიკისწაკავლიკით შეკემწვაკარიკი კაკარტოკოფიკილიკის დაკა კოკომბოკოსტოკოს საკალაკათიკის რეკეცეკეპტს. დეკესერკეტაკად კიკი კიკისეკელს მოკოვაკადუკულეკებთ.

(წაიკითხე კიდევ, კიდევ, კიდევ უფრო სწრაფად): კუკუ კუკუკუკურიკი გუკულდაკასმიკით უკუსმეკენდაკა მაკასწაკავლეკებეკელ კუკურდღეკელს. კაკალაკამიკიც მოკომაკარჯვეკებუკულიკი ჰქოკონდაკა დაკა ბლოკოკნოკოტშიკი ყვეკელაკაფეკერს იკინიკიშნაკავდაკა. კუკურიკი ძაკალიკიაკან ბეკეჯიკითიკი შეკერდიკი გაკამოკოდგაკა.

ჩანერე უჯრებში ჩვენი ყურნალის სახელი საიდუმლო ენაზე:

მოგზაურობისთან ერთად

რობი მესხი

აჰა, მზად ხარ სამოგზაურო? აბა, ერთად
სამხრეთით, იტალიაში ვიმგზაუროთ და ჩავეხვიჩინ
საყვარელი ემბრის, ჩიპოლინოს ავტორის, ჯანი
როდარის სამყაროს ვეცნობოთ.

ვინ არ იცნობს ხახვის ბიჭუნას, ჩიპოლინოს, ან
ჯელსომინოს, რომელსაც ისეთი ძლიერი ხმა აქვს,
ყველაფერს აზანზარებს. ალბათ, ისიც გეცოდინე-
ბათ, რომ ეს ზღაპრები იტალიელმა მწერალმა, ჯანი
როდარიმ დაწერა. მწერალმა მსოფლიოს ბავშვებს კიდევ
არაერთი საყვარელი წიგნი აჩუქა – „ტელეფონით მოყო-
ლილი ამბები“, „ტორტი ზეცაში“, „ცისფერი ისარი“
და სხვა. მის გმირებს ყველა ბავშვი
იცნობს და ყველას ძალიან, ძალიან უყვარს.

ჯანი როდარის განსაკუთრებით
უყვარდა კატები. იცით, რატომ?
როცა ჯანი 9 წლის იყო, მისი მამა,
ჯუზეპე როდარი ფილტვების ანთებით
გარდაიცვალა – პატარა კნუტის გადასარჩე-
ნად ძლიერ წვიმაში გავიდა, დასველდა,
გაცივდა და ავად გახდა. ამიტომაა, რომ
ჯანი როდარის ბევრ პერსონაჟად კატა
გვევლინება. გახსოვთ, ალბათ, ფეხცან-
ცარა ციცუნია წიგნიდან „ჯელსომი-
ნო ცრუთა ქვეყანაში“.

ჯანი როდარი 1920 წელს იტალიის პა-
ტარა ქალაქ ომენიაში დაიბადა. მამამისი
მეფუნთუშე იყო. ჯანი როდარის არაერ-
თი ლექსი აქვს მიძღვნილი მეფუნთუშის
პროფესიისათვის.

შოკოლადის გზა

ჯანი როდარი

ერთხელ, სოფელში ხეტიალისას, სამი ბარლეტელი ძმა სრიალა და ყავისფერ გზას მიადგა.

– რისი უნდა იყოს? – იკითხა პირველმა.

– ხის არ არის! – თქვა მეორემ.

– არც ნახშირის! – დაამატა მესამემ.

უკეთ რომ გაეგოთ, მუხლებზე დადგნენ და ალოკეს. შოკოლადის იყო, შოკოლადის გზა! ჯერ ერთი პატარა ნაწილი შეჭამეს, მერე – მეორე... მოსაღამოვდა და ძმები შოკოლადის გზის ჭამაში იყვნენ ისევ. ბოლო კვადრატი რომ გაათავეს, ნახეს, აღარც შოკოლადი იყო წინ და აღარც – გზა.

– სად ვართ? – იკითხა პირველმა.

– ბარიში არ უნდა ვიყოთ! – თქვა მეორემ.

– არც მოლფეტაში! – დაამატა მესამემ.

აღარ იცოდნენ, რა ექნათ. საბედნიეროდ, ველებიდან ურმით მომავალი ერთი გლეხი გამოჩნდა.

– მე მიგიყვანთ თქვენს სახლამდე! – უთხრა მათ გლეხმა.

შემოისვა ურემზე სამივე და ბარლეტაში, პირდაპირ სახლის კარამდე მიიყვანა. ძირს ჩამოსვლისას, ძმები მიხვდნენ, რომ ურემი მთლად ორცხობილასი იყო. არც ეს უთქვამთ, არც – ის, პირდაპირ ჭამას შეუდგნენ და ბოლოს არც თვლები დატოვეს და არც – ძელები.

ასეთი იღბლიანი ძმები ბარლეტაში მანამდე არასდროს ყოფილან; და ვინ იცის, კიდევ იქნებიან თუ არა?!

ილუსტრაცია
ნანიკო ბუხდუნის

იცალიყრიდან
მარგენა
მაია ცურაკელიძემ

ჯ მაკარიკო

მაკა ლოლოლონენი

ზაზა თვარაძის „მონტებულსუ ანუ ელის არაჩვეულებრივი მოგზაურობა“ სავსეა უცნაურსახელებიანი პერსონაჟებით: მითიძვინძვინა, ბევრუყი, ავადონამპლი, ქვაფორე, ბაბუდაყი, თვალიკაკა, კეთილი ჯადოქრები პეულეფი, ბაფუკი, ბანეგრო-სი, ნიქტოპოლინე, პამფალიონი და ალფომეგუსი. აქ შეხვდებით მანათობელ ბავშვებს, მოლაპარაკე კიტრსა და ბეღურა ელიზ-ბარს, ოქროსუბნელ ჭრელთვალას, პოეტ ლექსო ყანჩაველს, უსათნოეს მამიდა ეთერს, გეოგრაფოსს, იადონ ინოს, კატა სამსონს, მაწანწალა ძაღლებს კუკუსას, პუჭოსა და ჯუბოს, მეფე კუზმაზს... იმოგზაურებთ ღრმაღელედან ოქროყანამდე კენგურეთის, კუზლანდიისა და თბილისის ნაცნობ-უცნობი ადგილების გავლით.

„ჯაკუს ლუდაკაუსის მამამცელაოჯ“

მონტებულსუ თილისმაა, რომელიც ელენეს მამამ აჩუქა – ზურმუხტისთვალებიან სპილენძის ბუს გულ-ზე ხის დაფა ჰკიდია წარწერით N14, ხელში კი ფრანი უჭირავს. ფრანი თუ გაანათებს, მონტებულსუ სურვი-ლების ასრულებას შეძლებს. როგორ? ამის გასაგებად ელენეს უნდა გაჰყვეთ იმედით, შიშით, მუქარით, ხვე-წნით, კეთილი და ბოროტი არსებებით სავსე გზაზე. ელი-გოგოს ბევრი ოცნება აქვს – სურს სიმართლისა და ცუდის ცნობის უნარს ფლობდეს და მზეთუნახავის ნაირი ოქროსფერი თმაც ჰქონდეს, მაგრამ ჯერ მხ-ოლოდ ერთ სურვილს ჩასჩუჩულებს თავის თილისმას: „მონტებულსუ, მონტებულსუ, მაპოვნინე მამაჩემი!“

თილისმა ჯადოსნური ნივთია, რომელიც მის მფლობელს განსაცდელისგან იცავს. მას წარმატების მოტანა და გუნების გაუმჯობესებაც შეუძლია. თილ-ისმად შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერი ნივთი სამკაულიდან დაწყებული, ქვის ნატეხითა და ხის ქერქის ნაჭრით დამთავრებული. თქვენც შეგიძლი-ათ შექმნათ და თან ატაროთ საკუთარი თილისმა.

წიგნის მთავარი გმირი ელენე ძზიანი ღღეებით, ფიჭვების შრიალითა და წიწვის სურნელით ტკბება, ეზოში ფერად სათამა-შო კიბეებსა და ნაფებზე ერთობა. მაგრამ... დაიწყება ომი და მის გარშემო ყველაფერი შეიცვლება: მამას ომში წაიყვანენ, ღედას თვალები ცრემლით აევსება, ბებია ლა-მეებს ბუერის რიგში ატარებს, ადამიანები მოიწყენენ, საქანელებს საღებავი გადაე-ცლება... ასე გრძელდება, სანამ დაჭრილ ჯარისკაცებს თბილისის საავადმყოფოებში არ გაანწილებენ და ელის გულში ღი-ადი გეგმა არ აიღებს დასაბამს.

ზალიკოს ხატვის გაკვეთილები

ვავხატოთ მონტეგუესე



ილუსტრატორი მარიკა მონგრელაძე

ლელა ცოცქირიძე

ჩხირკეტელა

ქაღალდის ნავი

აღბათ განსაკუთრებულად გიყვართ ზაფხული. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ არდადეგების დროა, მეორეც იმიტომ, რომ ცხელა და შეგიძლიათ მთელი დღე წყალთან გაატაროთ: იწუწათოთ, იჭყუმპალაოთ ან ქაღალდის ნავებით გასწრობანა ითამაშოთ.

მოდით, ქაღალდის ნავის გაკეთებას გასწავლით. მის გასაკეთებლად აუცილებლად დაგჭირდება ფურცელი. სასურველი კი იქნება, თუ გვექნება ფერადი მუყაო, ნებო, ხის ჩხირი, ფერადი ფანქრები და მაკრატელი.

მაშ ასე:

გადავკეცოთ ფურცელი განივად, ისე, როგორც ფოტოზეა ნაჩვენები. კარგად გავასწოროთ ნაკეცი. გვახსოვდეს, რომ ყველა ნაკეცი სიზუსტეს და კარგად გადაკეცვას მოითხოვს.

ფურცელი გადაკეცილი მხრიდან ჩამოვკეცოთ ორ სამკუთხედად. დაკვირდით ფოტოს და ადვილად მიხვდებით.

ახლა სამკუთხედის ქვევით დარჩენილი ფურცელი ორივე მხრიდან ავკეცოთ სამკუთხედისკენ.



ოო, ახლა ერთი პატარა ფოკუსი გვაქვს ჩასატარებელი. შევაცუროთ თითები სამკუთხედში და გავშალოთ. ასე სამკუთხედის ნაცვალად კვადრატს მივიღებთ.

ეს კვადრატი ავკეცოთ ორივე მხრიდან ისე, რომ ისევ სამკუთხედი მივიღოთ.

ახლა უფრო კარგი ფოკუსი: ვეცადოთ, რომ სამკუთხედი გვერდებიდან გადავშალოთ, ისე, როგორც ყვავიდი იშლება.

აფრებიც დავამზადოთ!

და ქაღალდის მგზავრებიც!

და აი, ისიც! ქაღალდის კი არა, ნამდვილი ნავია!

დანარჩენი უკვე თქვენს სურვილზეა დამოკიდებული. მე მაშვეი რგოლიც დავუმატე. ასე მშვიდად ვიქნები და ზღვაში გაცურვის არ შემეშინდება. მერე აფრები გამოვჭერი და ნავის სამკუთხედ ნვერს მივანებე. შეგიძლიათ აფრები ხის ჩხირზე მიაწებოთ. მერე პატარა გოგო და ბიჭი დავხატე, გავაფერადე, გამოვჭერი და ნავში ჩავასკუპე.

მგონი, დამაზი გამოვიდა.

სხვათა შორის, ასეთი ნავებით მეგობართან ერთად გასწრობანაც“ შეგიძლიათ ითამაშოთ. აავსებ ვარცლს, ჩაუშვებთ ნავებს და უკნიდან კოქტეილის ჩხირებით სულს შეუბერავთ. ძალიან მაგარი თამაშია, გამოცადე.

ჰო, და კიდევ: თუ მეგობრები გესტუმრებიან, სასუნსავი შეგიძლიათ სწორედ ასეთი ნავებით მიართვათ.

სულ ესაა, აბა, თქვენ იცით! უფრო სწორედ, როგორც მეზღვაურები ამბობენ, ზურგის ქარს გისურვებთ!

ვასო გულელური

საბავშვო კულინარია

ნაყინი

ნაყინი ერთ-ერთი ყველაზე ძველი ნუგბარია. ვარაუდობენ, რომ მისი ისტორია ოთხ ათასწლეულზე მეტს ითვლის. დღევანდელი ნაყინის მსგავსი ნუგბარის შესახებ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ორი ათასი წლის წინ მოიხსენიებდნენ ჩინეთში – ეს იყო ყინულში არეული ხილის ნაჭრები და წვენი. ევროპაში კი ნაყინის პირველი რეცეპტები მარკო პოლომ მეცამეტე საუკუნეში შემოიტანა ჩინეთიდან.

ზაფხულის ცხელ დღეებში რა არის ყველაზე სანატრელი და გემრიელი? რა თქმა უნდა – ნაყინი! აბა, რომელ ბავშვს არ უყვარს ეს უგემრიელესი ნუგბარი. არა მხოლოდ ზაფხულში, ზამთარშიც კი. უნდა გაგიმხილოთ და, ჩემს ბავშვობაში ზამთარში ნაყინი არსად იყო. გაგიკვირდათ, ხომ? აი, ზაფხულის დადგომას ამის გამოც ველოდით მოუთმენლად. დღეს კი, წელიწადის ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მიირთვათ სხვადასხვა სახეობის უგემრიელესი ნაყინი. ყველაზე პოპულარული ალბათ, ვანილის და შოკოლადის ნაყინია. თუმცა, არსებობს ნაყინი სხვადასხვა ხილით თუ კენკრით, სხვადასხვა ფორმით – ეს პლომბირიო, ეს ესკიმოო, ნაყინის სენდვიჩიო, ნაყინის ტორტიო... მოკლედ, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ყველა გემრიელია, მაგრამ სახლში მომზადებული ნაყინი მაინც გამორჩეულია. მოგიმზადებიათ საკუთარი ხელით? არა? მაშინ, ეს გაკვეთილი სწორედ თქვენთვისაა.

1. romeli xilis nayini gaasinja meri popinsma jeins?
2. ra hqvia afTiaqrs irma malaciZis wignSi `satkbileTis qveyana~, romelmac daamzada wamali `nayinicitini~?
3. vis gaucivda CiCaxvi mayvala mrevliSvilis leqsSi?
4. astrid lindgrenis romeli gmiri ambobs: _ ra Rirs Wiqis ormocdaaTereiani nayini?
5. ra hqvia plombironebisa da eskimonebis samefoTa dedaqalaqs vaso guleuris wignSi `miko da rei~?
6. romel qalaqSi aaSenes nayinis saxli jani rodaris zRaparSi?

ნაყინვორდი



დაგვჭირდება:

3 ცალი კვერცხი;
1 ჭიქა შაქარი;
1 ჭიქა რძე;
1 ჭიქა ნაღები;
ვანილი.;

რძე ჩაასხით ღრმა ქვაბში და გაათბეთ. შემდეგ დაუმატეთ კვერცხის გულები (მხოლოდ ყვითელი გულები, არ დაგავიწყდეთ!) და კარგად ათქვიფეთ. დაუმატეთ შაქარი და ვანილი, ისევ დადგით ცეცხლზე და თან ურიეთ, ვიდრე არ გასქელდება. გადმოდგით და გააგრილეთ.

ცალკე ათქვიფეთ ნაღები, ვიდრე არ შესქელდება. მერე ფრთხილად შეურიეთ უკვე გამზადებულ ნარევს და შედგით საყინულეში.

სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ დაუმატოთ წინასწარ დაბლენდერებული რომელიმე კენკრა ან ხილი – მაგალითად, მარწყვი, მოცვი, ჟოლო ან ბანანი, ნესვი... მოკლედ, რაც ყველაზე ძალიან გიყვართ.

თუ ცალკეული პორციები გინდათ, გაყინვამდე ნაყინის მასა ერთჯერად ჭიქებში ჩაასხით და ისე გაყინეთ.

ასევე შეგიძლიათ გამზადებულ ნაყინს მოასხათ კარამელი ან შოკოლადი – რომელიც უფრო გიყვართ. ვიდრე ნაყინს მიირთმევთ, თან ეს ლექსიც მიაყოლეთ – კარგ... განწყობისათვის.

ლექსი ნაყინის მოყვარულ სელაპზე

ციცქნა სელაპს, ანტარქტიდის
ყინულებში რომ ბინადრობს,
არც ახალი თევზი უნდა,
აღარც წყალში ცურვა ართობს.

როგორც ყველა ციცქნას, მასაც
ძალიან უყვარს ნაყინი და
სწორედ იმ დღეს მენაყინე
თურმე, ნაყინს არ ყიდიდა.

მთელი დღეა, რაც ნაყინით
ყელი აღარ გაჰყინვია...
ცივი კია აისბერგი,
მაგრამ განა ნაყინია!

ნეტავ, ჰქონდეს ძალზე ბევრი
ხან „ესკიმო“, ხან „პრომბირი“,
იმას ნატრობს, სულ ნაყინით
მოთხუპნული ჰქონდეს პირი.

თუ ნაყინი არ იქნება,
თამაშობაც უკვე არ ღირს...
ანტარქტიდის ყინულეთშიც
არაფერი არ სჯობს ნაყინს!

ილუსტრაცია
ნანიკო ჯუხდარის

სანავარჯო / ეკონომია

ბაბუას ორი ლარი აქვს,
ბებოს – ორასი თეთრი...
ვის უფრო მეტი ფული აქვს,
ვინ უფრო სწრაფად მეტყვის?

გიორგი მეტრეველი

ფული – ფასიანი ქაღალდი, რომელიც ვაჭრობის დროს გამოიყენება.

ლარი - ქართული ფულის ერთეული

შენი აზრით, რას ნიშნავს სიტყვები – „იაფი“ და „ძვირი“?

სხვისია

მე – გავყიდი,
შენ – იყიდი,
მოდი, გავხსნათ მარკეტი.
თარო, დახლი, ვიტრინა
ამოვავსოთ კანფეტით.
რადგან ბევრი ცოტაზე
გაცილებით ტკბილია,
ერთი კილო იაფია,
ათი კილო – ძვირია!
მდიდარიც და ღარიბიც
სალაროში იხდის,
ზოგი – ცოტას, ზოგი – ბევრს,
ვინ მეტს – თვითონ მიხვდი!
– იქნებ, მომცეთ ნისიად?
– ვერა, ვერა, სხვისია!

რებუსი

ქართული საბავშვო მწერლობა

ამოხსენით რებუსი და მიიღებთ კროსვორდის ფერად სვეტში ჩასანერ გასაღებს - ყველასთვის საყვარელი ქართველი საბავშვო მწერლის სახელს და გვარს.

1. ამოცანის ამოხსნას, მიმაცებას, ანგარიშს, გამრავლებას, გაყოფას, ეს საგანი გვასწავლის.

2. მზეს, ვარსკვლავებს, მთვარეს იცევს, ცელესკოპით ვუკირკიცებთ.

3. ცხენის სახლი თავლაა, ბუნაგია - დათვის, აბა, გამოიცანი, რაა თაგვის სახლი?

4. თეთრფურცელა ყვავილია, გული უგავს მზეს, უყვარხარ თუ არ უყვარხარ, გეცყვის ყველაფერს.

5. როცა მოდის, არე-მარეს ათასფერად აფერადებს.

6. ამ მცენარემ მზეს უმზირა და დაარქვეს...

7. პაწაწინა, ნიწინა, კრუხს დაჰყვება...

8. ქართულ ზღაპარში ერთი ხარია, პაცარა ბიჭის მეგობარია.

9. ჩაღისაგან მორნულია, აღაგებენ ხიღს თუ ნამცხვარს, წითელქუდა თუ შემოგხვდათ, ხელში ამ ნივთს დაუნახავთ.

10 აქეთ, იქით, ჩქარა, ნელა, გვაქანავებს...

11. წვიმის მერე ჩნდება ცაზე ეს შვიდფერა სიდამაზე.

12. შარვალს, პერანგს აცვიცინებს, ფრთხიდად, თორემ დაგწვავთ თითებს.

13. გრძელნისკარცა, გრძელფეხება თევზს ჭამს, კი არ ეფერება.

14. გაზაფხული უიმისოდ არ მოდის, ყვავილია, თოვლის ქვეშაც ამოდის.

გიორგი ზიღლავნაძე



ქართული ფოლკლორი

რითმოცანები

რა თქმა უნდა, ყველას გაგიგიათ მრავალი ანდაზა და კიდევაც გახსოვთ. ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში უამრავი მშვენიერი ანდაზა გვაქვს და იმისათვის, რომ ანდაზები ხალისით გაიხსენოთ, მათზე აგებულ რითმოცანებს შემოგთავაზებთ. თუ შესაბამისი ანდაზა გაგიგიათ, ამ რითმოცანების პასუხებს უცებ გამოიცნობთ.

1. ვინმე თუ დაგეხმარება,
მასთან მოყვრობა ღირს, -
ხელი ხელს ჰბანსო, ამბობენ,
ხოლო ორივე...

2. ყველას ანუხებს ავადის
დიდი და მცირე საქმენი,
ქურდი ორივე ქურდია -
ნემსისაა თუ...



3. ძნელად სავალზე
მარცხისთვის
ნურავის დაემდურები, -
სანამ გზა გამოჩნდებოდა,
რა გადაბრუნდა? .....

4. თუ გადადებ საქმეს ხშირად,
ვერ იხიდავს მამუდს მოვიდს,
კაცსა დღე-მეხვადიესა
რა მიადგა კარზე?...

5. ზამთარში ია თუ გაჩნდა,
ვიხიდავთ ყინვით დაზაფრულს
და ერთი მერცხლის ჭიკჭიკი
რას ვერ მოიყვანს?...

6. ვინაც ცუდისკენ გიბიძგებს,
სჯობს მოარიდო თვალი, -
რადგან სახელის გაცეხვას
რის გაცეხვა სჯობს?...

ანდაზები:

1. ხელმა ხელი დაბანა და ორივემ პირიო“.
2. „აქლემისა და ნემსის ქურდი ორივე ქურდიაო“.
3. „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო“.
4. „დღე-მეხვადიე კაცსაო თოვდი მიადგა კარსაო“.
5. „ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო“.
6. „სახელის გაცეხვას თავის გაცეხვა ჯობიაო“.

გათვლა

ცისარტყელა

რა ფერია ვარ-დი?
წი-თე-ლი.
შენ გავარდი
პირ-ვე-ლი.

მანდარინი?
ნა-რინ-ჯი.
შენც მიყევი
ნა-ბი-ჯით.

ახლა ცისარ-ტყელა-ზე
ყვითე-ლია ფე-რი.
დადგა შენი ჯე-რი.

მერე მოდის
მწვა-ნე.
შენც გადიხარ მა-ლე!

ცის-ფერია ზე-ცა.
ახლა გადის ე-სა!

ლურჯი არის ზღვა.
ვინ-ღა დარ-ჩა სხვა?..

იის ფე-რი მე-ლა-ნი.
ვი-მა-ლე-ბით
ყვე-ლა-ნი.

დაიხუჭე შენ!

ნინო ქოქოსაძე

ციცინათელა

ნენე: – მე მაღაზიელი ვიქნები,
შენ ქალბატონი.
დედა: – რა ღირს თქვენი
ნამცხვარი, მაღაზიელო?
ნენე: – ოთხი ორმოცდალარი.

ნენე (4 წ.)

ქეთო: – იცი, ჩვენ რამდენი
ბარბი მოგვიგროვდა?
დედა: – რამდენი?
ქეთო: – ოცი!
მე: მართლა?! და სახელი ყველ-
ას აქვს?
ქეთო: – ჰო, აბა, რა.
დედა: – მერე არ გერევა ერთ-
მანეთში?
ქეთო: – რომ არ ამერიოს,
ყველას ერთი სახელი
დავარქვი.

ქეთო (7 წლის)

ნენე: – გინდა ზღაპარი მოგი-
ყვე?
დედა: – აბა, მომიყევი.
ნენე: – ჰოოოდა... იყო და არა
იყო რა.... (პაუზა)
მე: – მერე?
ნენე: – ჰოოოდა, ჭირი ააქა,
ლხინი იიიქა...

ნენე (წ3წლის)

ქართული ხალხური ზღაპრები

ჰორიზონტალურად:

2. ზარმაცი, თუმცა მოხერხებული გმირი, რომელიც კერასთან იჯდა და ნაცარს ქექავდა;

6. ობოლი ბიჭის მეგობარი ხარი;

7. ირმის გაზრდილი ყმაწვილი;

9. ვინ გაეჯიბრა ქოსას ტყუილების თქმაში.

10. რწყილის მეგობარი...

ვერტიკალურად:

1. რომელ ზღაპარში გვხვდება სიტყვები „აქეთ მზე, იქით მთვარე, უკან კიდევ ვარსკვლავები...“

3. ფრინველი, რომელმაც გლეხია მოპარული ბარტყები მამლის, მახათის, ფილთაქვისა და ვირის დახმარებით დაიბრუნა;

4. მე რაღაცა მაქვსო, მეფესა არა აქვსო... ზღაპარი... და მეფე

5. ოქროსქოჩრიანი ბიჭი, რომელმაც დედაბერს და მის ალქაჯს საზრიანობით დააღწია თავი;

8. ორი ცხვრის პატრონი, რომელ[illegible]ალებს თლიდა და ჭერში აწყობდა.





ჯროსვორდი შეადგინა

ნინო მგელაძემ

ანუ-ჭიქა ინტერვიუ მწერალ

მარიამ წიკლაურთან

– რომელი იყო წიგნი, რომელიც პირველად წაიკითხეთ...

– მახსოვს, მეოთხე კლასიდან პატარა დეტექტივებს ვკითხულობდი და გამომძიებლობაზე ვოცნებობდი. მანამდე „თინას ლეკურზე“ და „შვლის ნუკრის ნაამბობზე“ ვტიროდი. პირველი დიდი წიგნებიდან „ბიძია თომას ქოხი“ მახსენდება.

– თქვენი საყვარელი სამი საბავშვო მწერალი.

– ასტრიდ ლინდგრენი, მაყვალა მრევლიშვილი, თეა ლომაძე.

– თქვენი საყვარელი სამი საბავშვო წიგნი

– „ჰაიდი“, „ყაჩაღის ასული რონია“, „ძმები ლომგულები“,

– თქვენი პირველი საბავშვო წიგნი...

– პირველი წიგნი ლექსების კრებული, „დედის ნამღერი ლექსი“ იყო (1997 წ.)

– თქვენი, ყველაზე საყვარელი ნაწარმოები?

– მინდა მჯეროდეს, რომ მომავალშიც დავწერ კარგ წიგნებს და ცოტა გვიან ავარჩიოთ მათგან ყველაზე საყვარელი.

– როგორ იგონებთ პერსონაჟებს ?

– ცოტა ცხოვრება, ცოტა რეალობა, ცოტა მიზანი, რისთვისაც ქმნი და დანარჩენს აღარც გეკითხება პერსონაჟი, ის თვითონაც ხდება თავისი თავის ავტორი.

– სულ რამდენი საბავშვო წიგნი გაქვთ დაწერილი?

– ალბათ ასე, ოცამდე ლექსების კრებულები და მცირეტექსტიანი პატარა წიგნები. მე კი დიდ, სერიოზულ საბავშო პროზაზე ვოცნებობ.

– ახალ წიგნზე თუ მუშაობთ?

– დიახ, ახალი წიგნებზეც ვმუშაობ, ზოგი დაწერილიც მაქვს, ზოგი შუა გზაზეა, ზოგის ჯერ მხოლოდ იდეა მაქვს.

– თქვენი, ყველაზე კეთილი ზღაპრის გმირი?

– მგონი ბოროტი გმირი არც მყავს, და ვინცაა, ისიც ბოლოს კარგისკენ იცვლის ზნეს.

– რის წაკითხვას ურჩევთ ბავშვებს?

– გეტყვით, რა არ უნდა დაგრჩეთ წაუკითხავი: „ჰაიდი“, „ქარის მოტანილი ამბები“, „ცისფერი ირემი“, „მხიარული ოჯახი“, ასტრიდ ლინდგრენის ყველაფერი, რაც დაწერილა და გთხოვთ, ქართველი ავტორების კარგი წიგნებიც იკითხოთ ხოლმე. მათ მხოლოდ თქვენთვის წერენ თქვენ მშობლიურ ენაზე ჩვენი ავტორები.

მთავარი შოკოლიტელი: *ირმა მალაციძე*
შოკოლიტმცოდნე: *მარიამ წიკლაური*
დანარჩენი შოკოლიტელები: *ლელა ცუცქირიძე, ვასილ გულეური, რობი მესხი, დიანა ანფიმიადი, გივი ჩიღვინაძე, ნინო სადღობელაშვილი*
შოკ-დიზაინერი: *ნიკა ხვედელიძე*

ISSN 2587-4888

ჟურნალი გამოდის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და სსიპ „ქართული ლიტერატურის ეროვნული ცენტრის“ მხარდაჭერით

საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდი „ლიბო“

ელფოსტა: jurnali.Shokoliti@gmail.com

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ეროვნული სასწავლო

31



წიგნის ჭია-მაია

ახალი წიგნები

ანდრია პატარა ბიჭია, რომელიც ნიავბიჭუნად გადაიქცევა, ღრუბელს ჩაეკონება და სიკეთის საძებნელად სამოგზაუროდ გაეშურება. პატარა მკითხველები ნიავბიჭუნასთან ერთად იმოგზაურებენ დედამიწაზე, შეიმეცნებენ სამყაროს. ზღაპრის დასასრულს კი სითბოთი და სიკეთით სავსე დაუბრუნდებიან რეალურ გარემოს.

„დათუნია ბრუუს თავგადასავალი“ პატარა ლურჯი დათუნია ბრუუ დედასთან – დიდი დათვის თანავარსკვლავედთან ერთად ცაში ცხოვრობს. ის ერთხელ დედამიწაზე მოხვდება. პატარა მკითხველები დათუნიასთან ერთად იმოგზაურებენ კოსმოსში და ფერად დედამიწაზე.
ავტორი და ილუსტრატორი: ლელა ცუცგამომცემლობა „შემეცნება“

ბოროტ ძალებთან მებრძოლი მეფე გულადი მოუთმენლად ელის ვაჟის დაბადებას, რათა ისიც ღირსეულ მეომრად აღზარდოს. თუმცა მისი მოლოდინი არ მართლდება და იბადება გოგონა. უცნაური ის არის, რომ გოგონას მანათობელი თმები აქვს.ამის გამო მეფე მას შუქიფეს დაარქმევს. შუქიფეს დაბადებას კიდევ ერთი, ცუდი ამბავი ახლავს: დედოფალი უგზო-უკვლოდ ქრება... თუ როგორ ახერხებს შუქიფე ბოროტი ძალების დამარცხებას, ვინ ეხმარება ამ გზაზე მას და ნახულობს თუ არა დედოფალს... ყველაფერ ამას წაიკითხავთ

გაგიგია რამე ცეროდენა ნილს კარლსონის შესახებ? დიახ, დიახ, ცეროდენა ნილსის, რომელიც ისეთი პაწაწინაა, რომ ბიჭუნა ბერტილის პერანგის ჯიბეშიც კი ეტევა. ან „ბიჭი-ბიჭი-ბიჭუკელას“ შელოცვა თუ გსმენია? ამ ჯადოსნური სიტყვების წარმოთქმით შეიძლება ისე დაპატარავდე, რომ თაგუნიას სოროში შეძვრე, სადაც ცეროდენა ნილსი ცხოვრობს, და მთელი საღამო მასთან ერთად გაატარო. ცნობილი შვედი საბავშვო მწერლის, ასტრიდ ლინდგრენის ეს პატარა მოთხრობა შინ მარტო დარჩენილი ბიჭისა და მისი ცეროდენა მეგობრის უცნაურ ამბავს მოგვითხრობს.

ISSN 2587-4888
9 772587 488007